

Giorgi KatamadzeE-mail: giorgi.katamadze@bsu.edu.ge

Assistant-Professor, Batumi Shota

Rustaveli State University

Batumi, Georgia

ORCID ID: 0000-0002-2602-6861

SMALL AND MEDIUM-SIZED ENTERPRISES IN GEORGIA: CLASSIFICATION AND THE LEGAL BASIS FOR THEIR REGULATION

Abstract. Business activity and its various directions change parallel to global political-social-economic processes, and they frequently must adjust to new, occasionally unanticipated situations and change their activities fundamentally. The sustainability of entrepreneurial activity is ultimately impacted by how responsive it is to external influences and how frequently appropriate management techniques of the processes must be changed. The paper analyzes the legal grounds of the status of small and medium-sized business organisations in Georgia and their classification criteria, and discusses the historical experience and international practice of giving such status. The article also analyzes the dynamics of economic indicators and special taxing regimes, based on which conclusions are formed taking into account the particulars of various business entity categories and special regimes. The article discusses various theories and offers recommendations, which will be interesting and noteworthy for a wide audience with an interest in this topic.

Keywords: business subjects; small and medium business; legal regulation; special taxation regimes;

JEL Classification: D00; D01; D02; D04; K15; K2; M1; M16; M21;

„This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia, (SRNSFG) Grant number YS-22-548, Project title-The crisis of small and medium business subjects and its prevention in the post-pandemic period in Georgia“.

გიორგი კატამაძეE-mail: giorgi.katamadze@bsu.edu.ge

ასისტენტ პროფესორი, ბათუმის შოთა

რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბათუმი, საქართველო

ORCID ID: 0000-0002-2602-6861

მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში-კლასიფიკაცია და მათი რეგულირების სამართლებრივი საფუძვლები

აბსტრაქტი. ბიზნეს საქმიანობა და მისი სხვადასხვა მიმართულებები მსოფლიო პოლიტიკურ-სოციალურ-ეკონომიკური პროცესების პარალელურად განიცდის ცვლილებებს

და მათ ხშირად უწევთ ახალ, ზოგჯერ უპროგნოზო პირობებთან ადაპტირება და საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა. სამეწარმეო საქმიანობა გარე ფაქტორების მიმართ სენსიტიურია და საჭიროებს პროცესების შესაბამის მართვის სტრატეგიების ცვლილებასაც, რომელიც საბოლოო ჯამში მის მდგრადობაზე აისახება. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების სტატუსის სამართლებრივი საფუძვლებისა და მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმების ანალიზი, განხილულია ამ სტატუსის მინიჭების ისტორიული გამოცდილება და საერთაშორისო პრაქტიკა. სტატია ასევე ეხება ეკონომიკური მაჩვენებლების დინამიკას და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე მიღებულია დასკვნები ბიზნეს სუბიექტების კატეგორიებსა და სპეციალური რეჟიმების სპეციფიკის გათვალისწინებით. ნაშრომში განხილულია სხვადასხვა თეორიული დებულებები და შემუშავებულია რეკომენდაციები, რომელიც საინტერესო და საყურადღებო იქნება ამ საკითხით დაინტერესებული ფართო აუდიტორიისათვის.

საკვანძო სიტყვები: ბიზნეს სუბიექტები; მცირე და საშუალო ბიზნესი; სამართლებრივი რეგულირება; დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები;

JEL კლასიფიკაცია: D00; D01; D02; D04; K15; K2; M1; M16; M21;

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით. გრანტის ნომერი YS-22-548, პროექტის დასახელება-მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტების კრიზისი და მისი პრევენცია პოსტ-პანდემიურ პერიოდში საქართველოში“.

შესავალი

ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის შედეგებში მნიშვნელოვანი წვლილი სამეწარმეო სამართლის იურიდიულ პირებს-ბიზნეს სუბიექტებს შეაქვს, ამიტომ ბიზნეს სუბიექტების მდგრადობა და მისი სტაბილური საქმიანობის უზრუნველყოფა როგორც უშუალო ბიზნესის მფლობელების, ასევე სახელმწიფოსა და დასაქმებულთა ინტერესის საგანია. საქართველოში ეკონომიკური თავისუფლება გარანტირებულია ქვეყნის უმაღლესი კანონით, კონსტიტუციით და მე-6 მუხლში დეკლარირებულია: „მუხლი 6. ეკონომიკური თავისუფლება

1. ეკონომიკური თავისუფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია.
2. სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.
3. დაუშვებელია კერძო საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.“ (საქართველოს კონსტიტუცია, 1995)

სამეწარმეო საქმიანობა ფართო გაგებით მნიშვნელოვან სოციალურ ფუნქციასაც შეიცავს, რომელიც სხვადასხვა ტიპოლოგიისა და მიდგომების ბიზნეს სუბიექტებთან მჭიდრო კავშირს, კომუნიკაციასა და თანამშრომლობას გულისხმობს. ამ ფუნქციას თუ კიდევ უფრო

ფართო მნიშვნელობით განვიხილავთ, კერძოდ საერთაშორისო ბიზნესის სპეციფიკის გათვალისწინებით, ბიზნესი სახელმწიფოსა და საზოგადოების, ბიზნესისა და ეკონომიკური ურთიერთობებში მონაწილეების ინტერნაციონალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი აქტორია, რომელიც საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებით მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფუნქციასაც ასრულებს.

მცირე და საშუალო საწარმოთა დეფინიცია დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა და სხვადასხვა ქვეყნებში მისი დამახასიათებელი ნიშნები და კლასიფიკაციის კრიტერიუმები სხვადასხვაგვარად განისაზღვრა, თუმცა ძირითადი მაინც თანამშრომელთა რაოდენობა, ბრუნვისა და აქტივების მოცულობაა. მთავრობა, ბიზნეს ასოციაციები და თავად ბიზნესი სექტორის წარმომადგენლებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტების სრულყოფაში და ზოგადად ამ სეგმენტის კონცეფციის განვითარებაში. არაერთი უცხოელი ავტორის მოსაზრებით მცირე და საშუალო ბიზნესი მრავალ ქვეყანაში განიხილება როგორც ეროვნული, ისე რეგიონული განვითარების მთავარ აქტორებად (Keskin, Senturk, Sungur, & Kiris, 2010).

აღამ სმიტი თავის ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“ აღნიშნავს: „ის, რაც საზოგადოების ველურ მდგომარეობაში ერთი ადამიანის სამუშაოს შეადგენს, განვითარებულ საზოგადოებაში სრულდება რამდენიმე ადამიანის მიერ“ (სმიტი, 2007). საერთო ინტერესების გარშემო გაერთიანება და ერთიანი ძალა ყოველთვის უფრო მეტ წარმატების მიღწევას უზრუნველყოფს საბოლოოდ მოგებისა თუ თვითკმაყოფილების მიღების მიზნით. სწორედ ამის გამო საუკუნეების წინ იქმნებოდა ის გაერთიანებები მათი პირველადი ფორმებით, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში კომპანიების, ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და ჰოლდინგების სახით საქმიანობენ.

ზოგადად ბიზნესის რეგულირება მოიცავს სხვადასხვა სამართლებრივ და პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომელსაც მთავრობები იღებენ ბიზნეს გარემოსა და ეკონომიკური პროცესების სხვადასხვა მიმართულებების სწორად მართვისა და კონტროლისთვის. ბიზნესის რეგულირების უპირველესი მიზანი სამართლიანი ბიზნეს გარემოს უზრუნველყოფა, კონკურენციის, მომხმარებლებისა და გარემოს დაცვა, ბაზრის სტაბილურობა, საზოგადოების ინტერესების დაცვა და ქვეყნის ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფაა. საფინანსო ინსტიტუტები, გადასახადები, საერთაშორისო ვაჭრობა, გარემოს დაცვა, მომხმარებელთა უფლებები, შრომის რეგულირება, კონკურენცია და ანტიმონოპოლიური საქმიანობა, ბიზნესის კონფიდენციალურობა და პერსონალური ინფორმაცია ეს ის ძირითადი ჩამონათვალია, რომელთა ერთობლიობა ქმნის მდგრად ეკონომიკურ და კონკურენტულ ბიზნეს გარემოს რომლებიც ბიზნეს სუბიექტების წარმატებული საქმიანობისათვის უმთავრესი პირობაა. ხოლო თავად ბიზნესის სტაბილურობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ანტიკრიზისული სტრატეგიის ქონა, რომელიც უფრო და უფრო აქტუალური ხდება ბოლო წლების განმავლობაში (Katamadze, Business Entity's Preventive-Anti-Crisis Strategy Model and Possibilities of Its Implementation in Georgia, 2022).

მეთოდოლოგია

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულია სოციალური და ეკონომიკური მეცნიერებების კვლევის სხვადასხვა მეთოდები, მათ შორის:

სტატისტიკური ანალიზის მეთოდი - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული

სამსახურის ოფიციალური ინფორმაციის საფუძველზე დამუშავდა სტატისტიკური მონაცემები და მოხდა დინამიკისა და ტენდენციების დადგენა;

შედარების მეთოდი - ამ მეთოდის გამოყენებით განხორციელდა იდენტური კატეგორიების ფარგლებში არსებული მონაცემების შედარებითი ანალიზი ტენდენციების დასადგენად;

კომპონენტური ანალიზი - აღნიშნული მეთოდით კომპონენტების მიხედვით გაანალიზდა ბიზნეს სუბიექტების კლასიფიკაციის ეკონომიკურ-სამართლებრივი კრიტერიუმები მათი მახასიათებლების მიხედვით დაჯგუფების მიზნით.

ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი - ამ მეთოდის გამოყენებით შესწავლილ იქნა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განმარტებასთან და კლასიფიკაციასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტები.

ბიზნეს სუბიექტების კლასიფიკაცია-ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკა

საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია/კატეგორიზაცია სხვადასხვა კრიტერიუმებისა და მათთან დაკავშირებული რეგულაციის გათვალისწინებით ხდება. სრული წარმოდგენისა და ანალიზისათვის სტატიაში წარმოდგენილია მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტებების სხვადასხვა ვარიანტები წლებისა და რეგულაციების მიხედვით. ზოგადად საწარმოთა კლასიფიკაციის ისტორიულ ასპექტებზე თუ გავამხვილებთ ყურადღებას უნდა აღინიშნოს 1999 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, რომლის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული იყო მცირე და საშუალო საწარმოების შესახებ განმარტება, კერძოდ: „საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა და საწარმოს წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობას:

- ა) მრეწველობაში 40 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;
- ბ) მშენებლობაში 20 დასაქმებულსა და 300 ათას ლარს;
- გ) ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში 20 დასაქმებულსა და 200 ათას ლარს;
- დ) სოფლის მეურნეობაში 20 დასაქმებულსა და 150 ათას ლარს;
- ე) საბითუმო და საცალო ვაჭრობაში 10 დასაქმებულსა და 50 ათას ლარს;
- ვ) განათლებაში, ჯანმრთელობის დაცვასა და კულტურაში 25 დასაქმებულსა და 60 ათას ლარს;

ზ) სხვა სახის ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას 15 დასაქმებულსა და 100 ათას ლარს.“ (საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“, 1999)

ამავე კანონში 2002 წლის 4 ივლისს შევიდა ცვლილება და უფრო ზოგადად განისაზღვრა მცირე და საშუალო საწარმოთა ტიპოლოგია, კერძოდ: „საქართველოს ტერიტორიაზე მცირე და საშუალო საწარმოებს განეკუთვნება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა და რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება შემდეგ ზღვრულ ოდენობებს:

- ა) მცირე საწარმოებისათვის – 20 დასაქმებულსა და 500 ათას ლარს;

ბ) საშუალო საწარმოებისათვის – 100 დასაქმებულსა და 1500 ათას ლარს“ (საქართველოს კანონი, ცვლილება „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“, 2002), თუმცა აღსანიშნავია, რომ 2006 წლის 9 ივნისიდან ეს კანონი არის ძალადაკარგული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 83-ე მუხლი სპეციალური დაბეგვრის რეჟიმებს ავრცელებს მიკრო, მცირე და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებზე და ამავე კოდექსით განმარტავს მათი სტატუსის მინიჭების პირობებს, კერძოდ: მიკრო ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, რომლიდანაც მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 000 ლარს. მცირე ბიზნესის სტატუსი ენიჭება პირს, თუ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა 2 კალენდარული წლის მიხედვით, თითოეული კალენდარული წლის განმავლობაში 500 000 ლარს არ გადააჭარბა. ხოლო ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი განიმარტება შემდეგნაირად: ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი შეიძლება იყოს პირი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი და ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2010).

კიდევ ერთ კლასიფიკაციას გვთავაზობს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, კერძოდ საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევაში 2017 წლიდან მონაცემები ქვეყნდება საწარმოთა ზომის განსაზღვრის ახალი მეთოდოლოგიით, რომლის მიხედვითაც:

მსხვილი ზომის საწარმოებს განეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, სადაც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა აღემატება 250 (ძველი მეთოდოლოგიით – 100) კაცს ან ბრუნვის საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა 60 მლნ. (ძველი მეთოდოლოგიით – 1.5 მლნ.) ლარს.

საშუალო ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა მერყეობს 50-დან 249 კაცის ჩათვლით (ძველი მეთოდოლოგიით – 20-დან 99 კაცის ჩათვლით), ხოლო საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა – 12 მლნ. ლარიდან 60 მლნ. ლარამდე (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ. ლარიდან 1.5 მლნ. ლარამდე).

მცირე ზომის საწარმოებს მიეკუთვნება ყველა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო, რომელშიც დასაქმებულთა საშუალო წლიური რაოდენობა არ აღემატება 49 (ძველი მეთოდოლოგიით – 19) დასაქმებულს და საშუალო წლიური ბრუნვის მოცულობა არ აღემატება 12 მლნ. ლარს (ძველი მეთოდოლოგიით – 0.5 მლნ.) (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2017).

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობას (საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №223 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების

დამტკიცების თაობაზე“, 2016). ამ სამსახურის დებულების მიხედვით სამეწარმეო იურიდიული პირები კლასიფიცირდება 4 კატეგორიად ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობის მიზნებიდან გამომდინარე. მაგალითად:

- პირველი კატეგორიის საწარმო

სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონს ლარს აღემატება;
- ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს აღემატება.

- მეორე კატეგორიის საწარმო

სუბიექტი, რომელიც არ არის მესამე ან მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 50 მილიონ ლარს არ აღემატება;
- ბ) შემოსავალი 100 მილიონ ლარს არ აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 250-ს არ აღემატება.

- მესამე კატეგორიის საწარმო

სუბიექტი, რომელიც არ არის მეოთხე კატეგორიის საწარმო და რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 10 მილიონ ლარს არ აღემატება;
- ბ) შემოსავალი 20 მილიონ ლარს არ აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 50-ს არ აღემატება.

- მეოთხე კატეგორიის საწარმო

სუბიექტი, რომლის მაჩვენებლები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემდეგი სამი კრიტერიუმიდან სულ მცირე ორ კრიტერიუმს აკმაყოფილებს:

- ა) აქტივების ჯამური ღირებულება 1 მილიონ ლარს არ აღემატება;
- ბ) შემოსავალი 2 მილიონ ლარს არ აღემატება;
- გ) საანგარიშგებო პერიოდში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10-ს არ აღემატება.

აქვე უნდა დავაზუსტოთ, რომ „სუბიექტი“ განმარტებულია როგორც: „სუბიექტი – საჯარო სამართლის და კერძო სამართლის იურიდიული პირები, გარდა საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული საბიუჯეტო ორგანიზაციისა და საქართველოს ეროვნული ბანკისა, სხვა ქვეყნის საწარმოს ფილიალი, ინდივიდუალური მეწარმე, თუ ისინი წარმოადგენენ მესამე, მეორე ან პირველი კატეგორიის საწარმოებს“ (ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური).

რაც შეეხება ევროკავშირის რეგულაციას, 2003 წელს მიღებული დოკუმენტით მცირე და საშუალო საწარმოთა კლასიფიკაცია შემდეგნაირადაა განსაზღვრული:

მუხლი 2: საწარმოთა კატეგორიების განმსაზღვრელი პერსონალის რაოდენობა და ფინანსური ზღვარი

1. მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა კატეგორია შედგება საწარმოებისგან, სადაც 250 ადამიანზე ნაკლებია დასაქმებული და რომელთა წლიური ბრუნვა არ აღემატება 50 მილიონ ევროს და/ან წლიური ბალანსი საერთო ჯამში არაუმეტეს 43 მილიონი ევრო.

2. მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიაში მცირე საწარმო განისაზღვრება, როგორც საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 50-ზე ნაკლები ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა ან/და წლიური ბალანსი არ აღემატება 10 მილიონ ევროს.

3. მცირე და საშუალო ბიზნესის კატეგორიაში მიკროსაწარმო განისაზღვრება, როგორც საწარმო, რომელშიც დასაქმებულია 10-ზე ნაკლები ადამიანი და რომლის წლიური ბრუნვა ან/და წლიური ბალანსი არ აღემატება 2 მილიონ ევროს (Commission Recommendation of 6 May 2003 concerning the definition of micro, small and medium-sized enterprises (Text with EEA relevance) (notified under document number C(2003) 1422), 2003).

ცხრილი 1. მცირე და საშუალო საწარმოების კლასიფიკაცია

ინსტიტუცია	სტატუსი	დასაქმებულთა რაოდენობა (ადამიანი)	ბრუნვა
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური	1. მსხვილი 2. საშუალო 3. მცირე	1. აღემატება 250 2. 50-249 3. 49-მდე	1. 60 მლნ-დან 2. 12-60 მლნ 3. 12 მლნ-მდე
საქართველოს საგადასახადო კოდექსი	1. მიკრო 2. მცირე 3. ფიქსირებული		1. 30.000 ლარამდე 2. 500.000 ლარამდე
საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური	1. I კატეგორიის 2. II კატეგორიის 3. III კატეგორიის 4. IV კატეგორიის	1. აღემატება 250 2. არ აღემატება 250 3. არ აღემატება 50 4. არ აღემატება 10	1. აღემატება 100 მლნ 2. არ აღემატება 100 მლნ 3. არ აღემატება 20 მლნ 4. არ აღემატება 2 მლნ
ევროკავშირის რეგულაცია	1. მიკრო 2. მცირე 3. საშუალო	1. არ აღემატება 10 2. არ აღემატება 50 3. არ აღემატება 250	1. არ აღემატება 2 მლნ ევროს 2. 10 მლნ ევროს 3. 50 მლნ ევროს
ავტორის შეთავაზებული განმარტება	1. მცირე 2. საშუალო	1. არ აღემატება 10 თანამშრომელს 2. არ აღემატება 50 თანამშრომელს	1. არ აღემატება 1 მლნ ლარს 2. არ აღემატება 10 მლნ ლარს

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ

სხვადასხვა კრიტერიუმებისა და კლასიფიკაციის განხილვის შედეგად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობებისა და ზოგადად, ქვეყანაში არსებული ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის გათვალისწინებით, მცირე და საშუალო ბიზნეს სუბიექტები შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: მცირეა ბიზნეს სუბიექტი, რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 1 მლნ ლარს და თანამშრომელთა რაოდენობა 10 დასაქმებულს, ხოლო საშუალოა ბიზნეს სუბიექტი რომლის წლიური ბრუნვა არ აღემატება 12 მლნ ლარს და თანამშრომელთა რაოდენობა 50 დასაქმებულს.

ისევე როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და ზოგადად ევროინტეგრაციისათვის დადგენილი პირობების დაკმაყოფილებისათვის, ბიზნეს სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანია 2014 წლის 27 ივნისის გაფორმებული „ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და

ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“, სადაც მე-5 თავის 313 მუხლში პირდაპირაა დეკლარირებული, რომ: „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას სამრეწველო და საწარმოების პოლიტიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ყველა ეკონომიკური ოპერატორისთვის, განსაკუთრებული აქცენტით მცირე და საშუალო საწარმოებზე, როგორც ეს შესაბამისადაა განსაზღვრული ევროკავშირისა და საქართველოს კანონმდებლობებში. გაძლიერებული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ევროკავშირის და საქართველოს იმ ბიზნესების ადმინისტრაციული და მარეგულირებელი ჩარჩოების დახვეწას, რომლებიც ევროკავშირისა და საქართველოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, და დაეყრდნობა ევროკავშირის სამრეწველო და მცირე და საშუალო საწარმოების პოლიტიკას, ამ სფეროში საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და პრაქტიკის გათვალისწინებით.“ (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, 2014). ასევე აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 1 სექტემბრიდან ევროკავშირიდან საქართველოში იმპორტირებულ პროდუქტზე საბაჟო გადასახადი გაუქმდა. გადასახადები ასევე გაუქმდა საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებულ პროდუქტებზეც (როგორ ვივაჭროთ ევროკავშირთან, 2023).

ბიზნეს სუბიექტებთან დაკავშირებული ზოგადი სტატისტიკა

ბიზნეს სუბიექტების საქმიანობის სრულყოფილი ანალიზისა და ცალკეული კომპონენტების სიღრმისეული შესწავლისათვის მნიშვნელოვანია ბიზნეს სუბიექტების შესახებ სხვადასხვა მონაცემების კომპლექსური შესწავლა. საქართველოს კანონით „მეწარმეთა შესახებ“ სამეწარმეო საქმიანობად ითვლება ის საქმიანობა, რომელიც ითვალისწინებს მოგების მიღებას და ახასიათებს მართლზომიერება, არაერთჯერადობა, დამოუკიდებლობა, ორგანიზებულობა (საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, 2022).

ბიზნეს სუბიექტების რაოდენობისა და მათი ფინანსური მონაცემების შესახებ მონაცემები ბოლო წლების განმავლობაში მკვეთრად ზრდადია. ამჟამად, 2023 წლის მდგომარეობით, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით საქართველოში ბიზნეს სუბიექტთა რეგისტრაციის მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება, იხილეთ ცხრილი 2.

როგორც ვხედავთ, რეგისტრირებული იურიდიული პირების რაოდენობებში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები (შპს) ლიდერობს, ხოლო ჯამურად რეგისტრირებული სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობაში პირველ ადგილზე ინდივიდუალური მეწარმეები არიან-საქართველოში რეგისტრირებულია 550307 ინდ. მეწარმე და ამათგან აქტიურ საქმიანობას ეწევა 150511 (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023).

ცხრილი 2. რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	რეგისტრირებული სუბიექტი	აქტიური სუბიექტი
სულ	949779	233864
კომერციული იურიდიული პირები	344445	78246
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)	332752	77058
სააქციო საზოგადოება	3154	856
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება (სპს)	2749	147
კომანდიტური საზოგადოება	186	18
კოოპერატივი	5604	167
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები	31640	3726
ინდივიდუალური მეწარმე	561881	148569
სხვა	6567	695
საჯარო სამართლის სუბიექტები	5246	2628

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

უნდა აღინიშნოს, რომ ასევე რეგისტრირებულ, მოქმედ და ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა ყოველწლიურად მზარდია და თუ ბოლო 10 წლის დინამიკას შევხედავთ, კლება დაფიქსირებულია მხოლოდ რამდენიმე კომპონენტში 2020 წელს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2023), რომელთა დიდი მიზეზი Covid-19 პანდემია იყო. დეტალურად იხილეთ ცხრილი N3.

ცხრილი 3: საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები

საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021
რეგისტრირებულ ორგანიზაციებთან რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯ აშ, ათასი	496.6	532.2	569.3	594.5	632.1	677.6	721.4	764.7	801.5	847.2
მათ შორის: მოქმედ ორგანიზაციებთან რაოდენობა, ათასი	127.6	131	134.9	164.5	167.6	165.3	165.6	174.4	173.8	183.3
რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთან რაოდენობა წლების მიხედვით - ნაზარდი ჯ აშ, ათასი	472	505.9	541.3	564.8	599.6	642.6	685.2	727.2	762.8	807.2
მათ შორის: მოქმედ ბიზნეს სუბიექტთან რაოდენობა, ათასი	121.8	125	128.6	158.1	161	158.8	159	167.9	167.5	177
ახლადრეგისტრირებულ ორგანიზაციებთან რაოდენობა წლების მიხედვით, ათასი	41.9	46.4	46.8	45.6	48.1	52.5	51.6	50.7	41.4	52.5
მათ შორის: ახლადრეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთან რაოდენობა, ათასი	40.6	44.5	45.2	43.8	45.2	49.9	50.2	49.4	40.2	51.2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2023 მონაცემებით, doing business რეიტინგების მიხედვით საქართველო ბიზნესის კეთების სიმარტივით მე-7 ადგილზეა, ხოლო ბიზნესის დაწყების სიმარტივის მიხედვით მე-2 ადგილზეა. მნიშვნელოვანია ასევე სამშენებლო ნებართვის მიღების მიხედვით რეიტინგი, სადაც საქართველო 21-ე ადგილზეა, ელექტროენერგიასთან ხელმისაწვდომობის მიხედვით 42-ე, ხოლო ქონების რეგისტრაციის სიმარტივის მიხედვით მე-5 ადგილზე (Doing Business, 2023). რეიტინგებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის რეგისტრაციის სიმარტივე, რომელიც საქართველოში მინიმალურ ვადებთან და დოკუმენტაციასთან არის დაკავშირებული. ბიზნეს საქმიანობის დასაწყებად საქართველოში, მეწარმე იურიდიული პირის რეგისტრაციის მიზნით დაინტერესებულმა პირმა უნდა მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს, იუსტიციის სახლს ან საჯარო რეესტრის ავტორიზებულ პირებს (ბიზნესომბუდსმენი, 2023). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრი წარმოადგენს მონაცემთა ერთობლიობას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის რეგისტრაციის შესახებ (იუსტიციის სახლი, 2023). სწორედ სამეწარმეო რეესტრი ახორციელებს ბიზნესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულ ძირითად პროცედურებს.

ბიზნეს სუბიექტების საკანონმდებლო რეგულირება

ზოგადად ქვეყანაში ბიზნეს პროცესების სრულფასოვანი და გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელია შესაბამისი პოლიტიკური, ეკონომიკური, საკანონმდებლო გარემო, ინფრასტრუქტურა, ინსტიტუციების გამართული მუშაობა და ქვეყნის მოსახლეობის დამაკმაყოფილებელი სოციალური მდგომარეობა. საქართველოში ბიზნესის რეგულირების მიმართულებით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტებია:

საქართველოს საგადასახადო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2010 წლის 17 სექტემბერს და დღემდე მასში შეტანილია 200 ცვლილება.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, რომელიც მიღებულია 2021 წლის 2 აგვისტოს. მანამდე მოქმედი იყო ძველი ვერსია, რომელიც თარიღდება 1994 წლის 28 ოქტომბრით და 2021 წლამდე მასში შეტანილი იყო 70 ცვლილება.

საქართველოს საბაჟო კოდექსი, რომელიც მიღებულია 2019 წლის 28 ივნისს და დღემდე მასში შესულია 7 ცვლილება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელიც მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს და მასში შესულია 123 ცვლილება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, რომელიც მიღებულია 1999 წლის 22 ივლისს და მასში შესულია 248 ცვლილება.

„სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2001 წლის 8 ივნისს და მასში შესულია 51 ცვლილება.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2005 წლის 24 ივნისს და მასში შესულია 96 ცვლილება.

„მოსაკრებლების სისტემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 1998 წლის 6 თებერვალს და მასში შესულია 42 ცვლილება.

„გადახდისუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც მიღებულია 2007 წლის 28 მარტს და მასში შესულია 31 ცვლილება.

„საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურირების შესახებ“ საქართველოს კანონი რომელიც მიღებულია 2004 წლის 13 თებერვალს და მასში შესულია 17 ცვლილება.

ასევე პრეზიდენტის ბრძანებულებები, მთავრობის დადგენილებები, ფინანსთა მინისტრის ბრძანებები, შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანებები და სხვა სამართლებრივი აქტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო შეთანხმებები ადმინისტრაციული ურთიერთდახმარება/ინფორმაციის გაცვლის, ორმაგი დაბეგვრისა და სხვათა შესახებ.

2021 წლის 2 აგვისტოს მიღებულ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის განმარტებითი ბარათში ვკითხულობთ: „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის პროექტზე მუშაობა 2013 წელს, იუსტიციის სამინისტროს სათათბირო ორგანოს - კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელი საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში (რომელიც მოგვიანებით, 2016 წლის აგვისტოში, კერძო სამართლის რეფორმის განმახორციელებელ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოდ გარდაიქმნა) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ დაიწყო, USAID-ის პროგრამის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ (PROLoG) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) აქტიური ჩართულობით და მხარდაჭერით. კანონპროექტის პირველადი ვერსია სამუშაო ჯგუფის წევრი ექსპერტების მიერ მომზადდა, ხოლო შემდგომი სრულყოფის მიზნით ის იუსტიციის სამინისტროს წარედგინა“ (საქართველოს პარლამენტი, 2021). აქვე არის კანონის ცვლილების ძირითადი მიზეზი დასახელებული შემდეგი ფორმულირებით: „კანონის შემუშავების შემდგომ კორპორატიული ურთიერთობების მოცულობისა და სირთულის ზრდამ, ასევე ბიზნეს სექტორის სწრაფმა განვითარებამ, საჭირო გახადა უფრო დეტალური, თანამედროვე მოთხოვნებსა და გამომწვევებზე მორგებული რეგულაციების შემუშავება...2008 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა მეწარმეები სერიოზული პრობლემების წინაშე დააყენა, ვინაიდან ხშირად პარტნიორები ვეღარ ახერხებენ, ისარგებლონ კანონით მათთვის მინიჭებული შესაძლებლობით; წესდებები ზოგადი ხასიათისაა და არ აწესრიგებს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს, რის გამოც კანონით გაუთვალისწინებელი საკითხები, ფაქტობრივად, რეგულირების მიღმა რჩება, კანონი კი, რომელიც საშუალებას აძლევს სამეწარმეო საზოგადოებებს, საკუთარი შეხედულებისამებრ მოაწესრიგონ სამართლებრივი ურთიერთობები, დავის წარმოშობის შემთხვევაში, ვეღარ ეხმარება მათ. ხანგრძლივი და ძვირადღირებული დავების ძირითად მიზეზად ხშირ შემთხვევაში სწორედ სუსტი წესდებები და „მეწარმეთა შესახებ“ კანონით გათვალისწინებული არასაკმარისი რეგულაციები სახელდება და დღითიდღე ცხადი ხდება, რომ არსებული საკანონმდებლო ჩარჩო მთელ რიგ ასპექტებში საჭიროებს შევსებას, რათა ცალკეული საკითხების პარტნიორთა შეთანხმებით დაურეგულირებლობის შემთხვევაში, კანონით მოხდეს ძირითადი სტანდარტების დადგენა...მოქმედ კანონში არსებული ხარვეზები განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება დავების სასამართლოსთვის გადაცემის შემდგომ. სასამართლო პრაქტიკის კვლევა კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მოქმედი კანონის ხარვეზიანობას და მიუთითებს იმაზე, რომ კანონით არასათანადოდ არის მოწესრიგებული არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაც, თავის მხრივ, ნეგატიურად აისახება სასამართლოში საქმის წარმოების ხარისხსა და კორპორატიული დავების განხილვისას მოსამართლის მიერ

მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსზე. აქედან გამომდინარე, საჭიროა არსებული ხარვეზების აღმოფხვრა და ამ მიმართულებით კანონმდებლის როლის გაძლიერება (საქართველოს პარლამენტი, 2021).

ბიზნეს სუბიექტები და სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები საქართველოში

გარდა ბიზნესის რეგისტრაციისა და სხვა ორგანიზაციული პროცესების სიმარტივისა, ბიზნეს სუბიექტებისათვის მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო აქტები, რომლებიც მათ სხვადასხვა სახის შეღავათებსა და პრეფერენციებს უწესებს. ასეთებად შეიძლება განვიხილოთ სპეციალური სამეწარმეო სტატუსები და დაბეგვრის სპეციალური რეჟიმები. ამჟამად საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადებია:

- ✓ საშემოსავლო გადასახადი;
- ✓ მოგების გადასახადი;
- ✓ დამატებული ღირებულების გადასახადი;
- ✓ აქციზის გადასახადი;
- ✓ იმპორტის გადასახადი;
- ✓ ქონების გადასახადი;

თუმცა სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები საქართველოში მოქმედ ბიზნეს სუბიექტებს განსხვავებულ საგადასახადო რეგულირებას სთავაზობს.

• თავისუფალი ინდუსტრიული ზონები

საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა (შემოსავლების სამსახური, 2020).

1. ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
2. ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
3. ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა;
4. თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

თავისუფალი ინდუსტრიული ზონები რეგულირდება საქართველოს კანონით „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“, რომელიც მიღებულია 2007 წლის 3 ივლისს და მასში დღემდე შესულია 9 ცვლილება. „თიზ“-ების მთავარი მიზანი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა და საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობაა. ზოგადად თავისუფალი ინდუსტრიული ზონები უზრუნველყოფს ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს, განვითარებულ, თანამედროვე ინფრასტრუქტურას და საგადასახადო შეღავათებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისებისა და ინდუსტრიული საქმიანობის ხელშეწყობისთვის. რაც შეეხება შეღავათებს საქართველოში „თიზ“-ებისთვის: თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს საბაჟო კოდექსით.

• მოგების გადასახადი

გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან, თიზ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში გაწეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

- დამატებული ღირებულების გადასახადი
დამატებული ღირებულების გადასახადით არ იბეგრება თიზ-ში უცხოური საქონლის შეტანა და თიზ-ში განხორციელებული ოპერაციები.
- ქონების გადასახადი
ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში არსებული ქონება
- იმპორტის გადასახადი
იმპორტის გადასახადისაგან გათავისუფლებულია:
თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში უცხოური საქონლის შეტანა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში წარმოებული საქონლის თავისუფალი ინდუსტრიული ზონიდან შეტანა (იმპორტი) საქართველოს სხვა ტერიტორიაზე (თავისუფალი ინდუსტრიული ზონის გარეთ)
- შენიშვნა თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში საშემოსავლო გადასახადს დაქირავებული იხდის შემოსავლის დეკლარირების საფუძველზე.

თავისუფალი ტურისტული ზონა

2010 წლის 2 ნოემბერს საქართველოში მიღებულ იქნა კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, რომლის მიზანია ტურიზმის განვითარება და მეწარმეობის ხელშეწყობა, რისთვისაც ეს კანონი ადგენს პირობებს თავისუფალ ტურისტულ ზონებში სასტუმროების მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის, ასევე საგადასახადო და სხვა შეღავათებს (საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“, 2010). ამავე კანონის მე-5 მუხლი დეტალურად განსაზღვრავს შეღავათებს:

1. ინვესტორი თავისუფლდება:
 - ა) საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი ქონების გადასახადისა და მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან 15 წლის ვადით, ამ კანონით დადგენილი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში;
 - ბ) მშენებლობის ნებართვის მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებისაგან.
 2. ინვესტორს შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთი საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად, გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.
 3. ამ კანონით დადგენილი შეღავათები, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულისა, არ მოქმედებს, თუ ინვესტორი აღარ უზრუნველყოფს სასტუმროს ფუნქციონირებას.
- აქვე აღსანიშნავია, რომ კანონი პირდაპირ განსაზღვრავს ინვესტორის წინაშე ვალდებულებებს და ამავე კანონის მე-6 მუხლში დეტალურად ჩამოთვლილია:

მუხლი 6. სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები

1. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს:
 - ა) სასტუმროს შენობამდე შესაბამისი ინფრასტრუქტურის (გაზი, წყალი, წყალარინება, ელექტროენერგია) მოწესრიგებას და საჭიროების შემთხვევაში ახლის მშენებლობას;
 - ბ) სასტუმროსთან მისასვლელი გზების მშენებლობას/შეკეთებას;
 - გ) სასტუმროს ტერიტორიის მიწის ნაკვეთის გონივრულ ფარგლებში კეთილმოწყობასა და გამწვანებას;

დ) ამ კანონით გათვალისწინებული სასტუმროსთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის სტატუსის მინიჭებას და მშენებლობის ნებართვის გამარტივებული წესით გაცემას;

- **ვირტუალური ზონა-სპეციალური რეჟიმი**

შემოსავლების სამსახურის მეთოდურ მითითებაში ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე ვკითხულობთ: „საინფორმაციო ტექნოლოგიური ზონების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია საქართველოში საინფორმაციო ტექნოლოგიები განვითარება, რაც უზრუნველყოფს საქართველოში პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების შექმნას. ამასთან, ამავე კანონის მე-6 მუხლით განიმარტება რა განეკუთვნება ვირტუალურ ზონაში საქმიანობას. კერძოდ, ასეთ საქმიანობას მიეკუთვნება იურიდიული პირის მიერ განხორციელებული ეკონომიკური საქმიანობა, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე მიმართული იქნება საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნასთან. შესაბამისად, მოგების გადასახადში საგადასახადო შეღავათის გავრცელების მიზნებისათვის არსებითია ვირტუალური ზონის პირი საქართველოს ტერიტორიაზე ქმნიდეს საინფორმაციო ტექნოლოგიებს და მის მიერ შექმნილი საინფორმაციო ტექნოლოგიების საქართველოს ფარგლების გარეთ მიწოდებით (მათ, შორის მომსახურების სახით მიწოდებით) იღებდეს მოგებას. რაც შეეხება პირის საქმიანობის საქართველოს ტერიტორიაზე საინფორმაციო ტექნოლოგიების შექმნად მიჩნევის საკითხს, აღნიშნულის მიზნებისათვის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად გასათვალისწინებელია, რომ ვირტუალური ზონის პირი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად არსებითად იყენებდეს საქართველოში შესაბამისი პროფილური განხრით დაქირავებული ფიზიკური პირების შრომას - ჰყავდეს სათანადო ადამიანური რესურსები საჭირო კვალიფიკაციით. ამასთანავე, საქართველოს ტერიტორიაზე ჰქონდეს საინფორმაციო ტექნოლოგიების შესაქმნელად აუცილებელი შესაბამისი აქტივები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის 35-36 ნაწილები განმარტავს ვირტუალური ზონის პირის და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცნებას. კერძოდ, ვირტუალური ზონის პირი არის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას და მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიები არის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების შესწავლა, მხარდაჭერა, განვითარება, დიზაინი, წარმოება და დანერგვა, რის შედეგადაც მიიღება პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტები. ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭების წესი, პირობები და ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მიმნიჭებელი პირი განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 იანვრის N49 დადგენილებით (შემდგომში - დადგენილება) (საქართველის ფინანსთა სამინისტრო, 2023).

აღნიშნული დადგენილების შესაბამისად, იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიურ საქმიანობას, უფლებამოსილია ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მისაღებად მიმართოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს.“ (საქართველოს შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითება ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე, 2022).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, წახალისებისა და მხარდაჭერისათვის არსებობს მეწარმეთა დაბეგვრის სპეციალური ფორმები, კერძოდ „მცირე ბიზნესის“ სტატუსი, რომელიც ბიზნეს სუბიექტის მიერ

სპეციალური პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში ენიჭება მარტივი პროცედურით, შემოსავლების სამსახურის მიერ. „მიკრო ბიზნესის“ სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 500 ათას ლარს. ხოლო არსებობს კიდევ ერთი სტატუსი „მიკრო ბიზნესის“ სახით, ეს არის ფიზიკური პირი, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. აღსანიშნავია, რომ მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, თუმცა მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირი ვალდებულია, საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე საგადასახადო ორგანოში წარადგინოს საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია. მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირს არ აქვს შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის ვალდებულება;

კიდევ ერთი შეღავათიანი სტატუსია „ფიქსირებული გადასახადის გადამხდელი“, რომლის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს: რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ; არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის გადამხდელი; ახორციელებს ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ ერთ ან ერთზე მეტ საქმიანობას (საქართველოს შემოსავლების სამსახური, 2023).

საქართველოს კანონმდებლობა ბიზნეს სუბიექტებს საშუალებას აძლევს საქმიანობის შესაბამისი სამართლებრივი სტატუსი მარტივად მიიღონ, რაც კიდევ უფრო აადვილებს ბიზნესის ადმინისტრირებას. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნესის შესაბამისი სტატუსის შერჩევასა და ეფექტურად საქმიანობის განხორციელებაში მნიშვნელოვანია მენეჯმენტის როლი, ვინაიდან შესაძლოა არასწორად შერჩეულმა ბიზნეს სუბიექტის სტატუსმა შემდგომი გართულებები გამოიწვიოს ბიზნესის მართვის პროცესში.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადებამ (World Health Organization, 2020) დიდი გავლენა მოახდინა მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობაზე და მათ შორის ბიზნესის საკანონმდებლო რეგულირებაზეც. საქართველოში სრულიად შეცვალა მსოფლიოს დღის წესრიგი, რამაც პირდაპირი გავლენა იქონია ყველა სფეროზე, განსაკუთრებით კი ეკონომიკურ მიმართულებაზე. სახელმწიფოებს მოუხდა ფორს-მაჟორულ სიტუაციებში სწრაფი და მკაცრი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც უმეტესად უნივერსალური ხასიათის იყო მთელს მსოფლიოში, ვინაიდან ეფუძნებოდა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს (Katamadze, 2022). პანდემიიდან ორი წლის შემდეგ, 2022 წლის თებერვლიდან, უწყებათშორისმა საკოორდინაციო საბჭომ შეზღუდვების ეტაპობრივად გაუქმების გადაწყვეტილება მიიღო, რამაც სწრაფად და მნიშვნელოვნად იმოქმედა ბიზნეს სექტორზე. დღეის მდგომარეობით კი ბიზნესი, შეიძლება ითქვას, დაუბრუნდა პანდემიამდელ მდგომარეობას და უკვე მის წინაშე ახალი გამოწვევებია, მათ შორის ბიზნესის ინსტიტუციური გაძლიერება სამომავლო ფორს-მაჟორების მარტივად გადასალახად და ბიზნესის მდგრადობის უზრუნველსაყოფი სხვა ღონისძიებების გატარება.

დასკვნები

მცირე და საშუალო ბიზნესის წარმატებული საქმიანობისათვის საქართველოში მნიშვნელოვანი წინაპირობებია, მათ შორის: ბიზნესის რეგისტრაციის გამარტივებული პროცედურა, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით სრულყოფილი კანონმდებლობა, საშელავათო რეჟიმები, სპეციალური სტატუსები, ბიზნესის მხარდაჭერის სახელმწიფო პროექტები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა და სხვა, თუმცა ამ სეგმენტის გაძლიერებისათვის შესაძლებელია სხვადასხვა მიმართულებით მუშაობის გააქტიურება, კერძოდ:

- ქვეყანაში მცირე და საშუალო ბიზნესის როლისა და ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებში მათი წვლილის გათვალისწინებით, ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასა და ბიზნესის განვითარების კონცეფციაში მნიშვნელოვანი აქცენტი სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებაზე უნდა გაკეთდეს.
- საერთაშორისო თეორიისა და პრაქტიკის გათვალისწინებით, საჭიროა საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნეს კომპანიების ტერმინის მკაფიო/ერთმნიშვნელოვანი დეფინიცია მოხდეს, რომელიც იქნება უნივერსალური და სხვადასხვა დოკუმენტებში მოხდება მათი ერთნაირად იმპლემენტაცია.
- საჭიროა მცირე და საშუალო ბიზნესების მხარდამჭერი როგორც სახელმწიფო ასევე საერთაშორისო პროექტების მეტად პოპულარიზაცია, ინფორმაციის გავრცელება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა, რომელიც უფრო გააძლიერებს ამ სეგმენტს და გაზრდის მათ წვლილს ქვეყნის ეკონომიკაში.
- მცირე და საშუალო საწარმოების გაძლიერებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ინსტიტუციური მხარდაჭერა, როგორც ბიზნესის მფლობელთა და დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების მიცემით, ასევე მათი წარმოებისა და პოპულარიზაციის მიმართულებით კომპლექსური, ინტენსიური ღონისძიებების დაგეგმვით. უნდა გაძლიერდეს კომუნიკაცია ბიზნესსა და ბიზნეს სექტორთან დაკავშირებულ სახელმწიფო ინსტიტუციებში, საჭიროა ბიზნესის მეტი ჩართულობა რეგულაციების შემუშავებისა და განხილვის პროცესში.
- თანამედროვე ცხოვრების რიტმისა და ტექნოლოგიების განვითარების გათვალისწინებით, საჭიროა ბიზნესის მხარდაჭერა ციფრული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული კომერციის განვითარების მიმართულებით, ვინაიდან ყოველწლიურად უფრო მეტად საჭიროებს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირებას ბიზნესი და დიდია ელექტრონული პლატფორმების როლი წარმატებულად ბიზნესის ადმინისტრირებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის. (2014, ივნისი 27).

- ბიზნესომბუდსმენი . (2023). Retrieved from როგორ დავარეგისტრირებ ბიზნესი: <https://businessombudsman.ge/ka/tips-and-advice/how-to-register-a-business>
- ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური. *ანგარიშგება*. Retrieved ივლისი 2023, from <https://saras.gov.ge/ka/Home/ReportSupervision>
- იუსტიციის სახლი . (2023). ბიზნესის რეგისტრაცია. ხელმისაწვდომია: <https://psh.gov.ge/main/page/2/86>
- საქართველოს კანონი „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“. (1999, აგვისტო 11).
- საქართველოს კანონი, ცვლილება „მცირე საწარმოთა მხარდაჭერის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“. (2002, ივლისი 4).
- საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ. (2022, ნოემბერი 1).
- საქართველოს კანონი „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების ხელშეწყობის შესახებ“. (2010, ნოემბერი 2).
- საქართველოს კონსტიტუცია. (1995, აგვისტო 24). თბილისი .
- საქართველოს პარლამენტი. (2021). *განმარტებითი ბარათი "მეწარმეთა შესახებ კანონის პროექტზე"*. ხელმისაწვდომია: <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/268673>.
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2010, სექტემბერი 17).
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2017). *საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა*. ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/19494/Mqr_Business_Enterprises_annual_Geo.pdf
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2023). საწარმოთა დეკლარირებული მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/64/biznes-registri>
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №223 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების თაობაზე“. (2016, სექტემბერი 14).
- საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2023). ვირტუალური ზონის პირის სტატუსის მინიჭება. ხელმისაწვდომია: <https://newzone.mof.ge/>
- საქართველოს შემოსავლების სამსახური . (2020, აგვისტო 10). Retrieved from თავისუფალი ინდუსტრიული ზონა: <https://www.rs.ge/LegalEntityCustomsControlArea?cat=2&tab=1>
- საქართველოს შემოსავლების სამსახურის მეთოდური მითითება ვირტუალური ზონის პირის მოგების გადასახადით დაბეგვრის თაობაზე. (2022, 12 29). Retrieved from <https://rs.ge/Media/Default/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90/%E1%83%99%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9D>
- საქართველოს შემოსავლების სამსახური . (2023). დამატებითი ინფორმაცია რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <https://www.rs.ge/PersonsTaxFAQ?cat=2&tab=1>
- სმიტი, ა. (2007). *გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ* (Vol. ტომი I). თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

- როგორ ვივაჭროთ ევროკავშირთან . (2023, ივლისი 27). თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან. ხელმისაწვდომია: <https://dcfta.gov.ge/ge/dcfta-for-business>
- Commission Recommendation of 6 May 2003 concerning the definition of micro, small and medium-sized enterprises (Text with EEA relevance) (notified under document number C(2003) 1422).* (2003, May 6). Retrieved from An Official EU Website: <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=celex%3A32003H0361>
- Doing Business.* (2023). Ease of Doing Business rankings. Retrieved from: <https://archive.doingbusiness.org/en/rankings>
- Katamadze, G. (2022). Regulations And De-regulations Affecting The Business Profitability In Georgia During The COVID-19 Pandemic., 10.
- Katamadze, G. (2022). Business Entity's Preventive-Anti-Crisis Strategy Model and Possibilities of Its Implementation in Georgia. *Economics. Ecology. Socium*, 6(2), 38-45.
- Keskin, H., Senturk, C., Sungur, O., & Kiris, H. M. (2010). The importance of SMEs in developing economies. *2nd international symposium on sustainable development*, (pp. 183-192).
- World Health Organization.* (2020, March 11). Retrieved from <https://www.who.int/europe/emergencies/situations/covid-19>